აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმები

გიული ძიძიგური
სტუ-ს ასოც. პროფესორი

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შუასაუკუნეების ეპოქაში მთის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა პრობლემას ეკონომიკურ ბაზისს უკავშირებენ. თეზისი იმის შესახებ, რომ თუ საზოგადოებათა სოციალურ ჩამორჩენილობას ეკონომიკური ბაზის სივიწროვე განაპირობებდა, არსებითად სწორია, მაგრამ აშკარად არასაკმარისი, რადგან ფაქტია ისიც, რომ მსგავსი სამეურნეო პირობების მქონე მთის ცალკეულ რეგიონებს შორისაც შეინიშნებოდა გარკვეული, ზოგჯერ საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავება სოციალური განვითარების თვალსაზრისით. ამ ფაქტის ასახსნელად სხვა გზა არ არის, უპირატესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მომენტს. სახელდობრ: მთის ცალკეულ საზოგადოებათა განსხვავებული სოციალური სტრუქტურა უნდა ავხსნათ მეტროპოლიასთან მათი კონტაქტების განსხვავებული ხარისხით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან ურთიერთობაში ცენტარული ხელისუფლებისათვის წამყვანი იყო პოლიტიკური მომენტი. მთის დაყმევება სამეფო ხელისუფლებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რამდენადაც მას საშუალება ჰქონდა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები „გეოგრაფიულად გაენაწილებინა“. სახელდობრ: ბარის გლეხური მოსახლეობის ბატონყმური ექსპლუატაცია იძლეოდა მთიანეთის წმინდა პოლიტიკური მიზნებისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას. ის, რისი მიღებაც შესაძლებელი იყო მთიანეთის რეგიონებიდან (უმართავად მოლაშქრე, ნაწილობრივი ხარკი) ცენტრალური ხელისუფლება მას იძულების მკაცრი ფორმების გარეშეც ითვისებდა. მთას სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები აკავშირებდა ბართან და სამეფო ხელისუფლებას შეეძლო სრულიად მარტივი ღონისძიებებით (გზების ჩაკეტვით, საძოვრების ჩაკეტვით) მორჩილებაში მოეყვანა გამდგარი მთიელები.[1]

ეკონომიკური მომენტი რომ განსაზღვრავდა მთიელთა პოლიტიკურ დამოკიდებულებას, ეს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს შემჩნეული. აი, რას წერს იგი ფშავ-ხევსურეთზე: „ამისათვის იმყოფებიან მშვიდად და სიმწირისათვის მონებენ, ვისცა უბყრავთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუხიდამ“[2]. ბარის საზამთრო საძოვრებით სარგებლობისათვის სამეფო ხელისუფლება გარკვეულ სამსახურს აკისრებდა მთიელებს. მთიელები დროდადრო უარს ამბობდნენ მეფის სამსახურზე, მაგრამ დიდი ხნით ვერ ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და იძულებულნი ხდებოდნენ კვლავ ეკისრათ წინანდელი სამსახური და ბეგარა.

ლევან, კახთა მეფემ, (1520-1574) დაიპყრო თუშეთი. ამ უკანასკნელს დაეკისრა მეფის სამსახური (ძირითადად ლაშქრობა). თავის მხრივ მეფე თუშებს უთმობდა კახეთის ზამთრის საძოვრებს[3]. XVIII საუკუნეში „ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახის ბატონს (ერეკლე II-ს; გ.ძ.) და პირველსაებრ აღარ მონებდნენ“[4]. ერეკლე II-მ ძალიან მალე დაარწმუნა ხევსურები, რომ იგი არ იყო მათი დასაწუნი ბატონი – ხევსურებმა ფშავში მისულ ერეკლეს დანაშაულის პატიება სთხოვეს „მიართვეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს თავს სამსახური, რაც ძველთაგან კახ ბატონისგან სდებოდათ“[5].

მთიელთა ძირითადი ვალდებულება სამეფო ხელისუფლების წინაშე სამხედრო ბეგარა იყო. „ძეგილსდების“ მიხედვით მთის მოსახლეობის ერთი ნაწილი (ალბათ, ის, რომელიც დარბაზის ცნობის ღირსი არ არის), მებეგრეებად და მოსამსახურეებად იხსენიებიან, მაგრამ კონკრეტულად რას გულისხმობდა აღნიშნული ვალდებულებები, ძნელი სათქმელია. მოგვიანო ხანის მასალებით ირკვევა, რომ მთის მოსახლეობას, ლაშქრობის გარდა, გარკვეული რაოდენობის ნატურალური პროდუქტების (ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტების) გამოღებაც ევალებოდათ. მთიელთა ნატურალური გამოსა-

ღები დიდი არ არის, მაგრამ არც ისე უნიშვნელოა, რომ სიმბოლურ ხასიათს ატარებდეს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ უძნელდებოდა სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას მთის მოსახლეობის დაბეგვრა, მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს 1669 წლის „წილკნელის საწყმსოს დრამისა და საწირავის გარიგების“ სიგელიდან:

„ქაისხეველებს არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არა ჩაყენება წილკნელისა“[6]. ქაისხეველები ეპისკოპოსის შესვლას სწყინობდნენ, არც სახარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზ წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანღი უყვეს, არ შეუშვეს.

ამავე საბუთის მიხედვით, მთიულეთში „არც ერისკაცზედ დრამა ედვათ, არც ეპისკოპოზის წირვა, თუ თავისი ნებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეულნი იყვნენ, იმიტომ ვერა საეპიზკოპოზო გამოსაღები ვერა დავდევით რა“. ცოტა ქვემოთ კი ნათქვამია: „ძველს გუჯარში ხევისთვინ საეპიზკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არა დრამა არ ეწერა, არც ჩვენ დავდევით“[7]. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა – ვერც დავადევით.

ეპისკოპოსმა აქ მხოლოდ ის მოახერხა თანაც ერისთავის აქტიური დახმარებით, რომ მღვდლებისა და გამოჩენილი მსახურებისათვის დაედოთ მცირე საეკლესიო გამოსაღები: „ღვდელი თუ მოკვდეს ან გამოჩენილი მსახური, რაც შეძლოს საწირავი მიართვან“. მღვდელი კი მთელს მთიულეთში ამ დროისთვის მხოლოდ ორი იყო: „იქაურ ღვდელს სახუცო ორი ფური დავადევით ერისთავმან და ჩვენ. ორი ღვდელია ორ ფურს მოგვცემენ, ერთია – ერთსა, ათი ღვდელი რომ გაჩნდეს მთიულეთში, სახუცო ათი ფური გამოართვით, ჩემსობას ორი ხუცესი იყო“[8]. არც „გამოჩენილ მსახურთა“ რიცხვი უნდა ყოფილიყო ამ დროს მთიულეთში დიდი. მღვდელი და მსახური წოდებრივად თუ არა ეკონომიკურად მაინც მთის საზოგადოების დაწინაურებული ფენაა და მათი დაბეგვრა საეკლესიო გადასახადით მთაში ეკლესიის რაიმე მნიშვნელოვან წარმატებებზე ცხადია არაფერს მეტყველებს.

იქ, სადაც მთასა და ბარს შორის ურთიერთსარგებლიანობის პრინციპი დარღვეული იყო, შიშველ სამხედრო ძალას რაიმე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ეფექტი არ მოჰქონდა. ერთეული სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა მათთვის მნიშვნელოვანი შეღავათები დაეწესებინა და სხვადასხვა სახის საჩუქრები გაეცა – როგორც წესი ჯვარ-ხატის სახელზე. ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირდა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა მთა, რის გამოც იქ ხშირი იყო ერთი თემის მიერ მეორის დალაშქვრის, დარბევის, დამორჩილებისა და დახარკვის შემთხვევები. ექსპლუატაციის ეს სპეციფიკური ფორმა თითქმის მუდმივად მოქმედებდა მთაში, მაგრამ ძალადობა აქ არ იწვევდა საკუთრების რაიმე ახალი ფორმის გაჩენას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იგი ბებიაქალის როლს ვერ ასრულებდა ფეოდალური საკუთრების ფორმირების საქმეში. გუშინდელი მოხარკე თემი ძალას იკრებდა და ამჯერად თვითონ იმორჩილებდა მოძალადე თემს. ცნობილია, რომ ხევსურებს მუდმივი შუღლი ჰქონდათ ქისტებთან, ისინი ხშირად ესხმოდნენ თავს ხევსა და მთიულეთსაც. თუშები ლაშქრობდნენ ქისტებზე, ჩეჩნებსა და ლეკებზე. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ აოხრებდნენ ხევსურეთს, თუშეთსა და ფშავს, მიჰქონდათ ნადავლი, მიჰყავდათ ტყვე. თუშები შამილს ხარკს უხდიდნენ კომლზე ათი შაურის რაოდენობით[9]. ქისტებს კი თუშებისათვის ბეგარად დაუდვიათ კომლზე თითო შიშაქი ცხვარი, თითო ტომარა ნაცარი და ისრისათვის საჭირო ფრინველის (ბორაის) თითო მხარი[10].

მთის საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური განვიათარება შებოჭილი იყო მწირი ეკონომიკური ბაზით. სამეფო ხელისუფლება სრულიად გარკვეული მოსაზრებებით აქ არც აჩქარებდა მოვლენებს. მთიელთა თავისუფლება და დემოკრატიული თემური ორგანიზაცია სამეფო ხელისუფლებას არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა მათი ექსპლუატაციის თვალსაზრისით. პირიქით, გარკვეულწილად ხელსაყრელიც კი იყო – (ურთიერთდაზღვევის პრინციპი), მაგრამ როცა სამეფო ხელისუფლებასა და მთას შორის ჩადგა მსხვილი ფეოდალური საგვარეულოები, მთის ცალკეულ რეგიონებში (იქ, სადაც შედარებით ხელსაყრელი ეკონომიკური ბაზა არსებობდა), სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ხელოვნურად დაჩქარდა და ექსლუატაციამ საკმაოდ მკაცრი, ზოგან კი (მაგ. სადადიშქელიანო სვანეთი) მახინჯი ფორმებიც კი მიიღო. მთელ რიგ თემებში ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური გავლენის შესუსტებამ, პირიქით, თემური დემოკრატიის საწყისების გამოცოცხლება გამოიწვია და შესაბამისად ამ საზოგადოებათა სოციალური განვითარება კიდევ უფრო დაიჩიხა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეულ რეგიონებს შორის შექმნილი რამდენადმე განსხვავებული ვითარება, ერთი მხრივ, თუშეთ-ხევსურეთსა, ხოლო მეორე მხრივ, მთიულეთს, ხევსა და ფშავს შორის, ვფიქრობთ, ზემოთაღნიშნული მიზეზით უნდა იყოს განპირობებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ძიძიგური, რეცენზია გ. გასინსკის შრომებზე.. საქართველოს მთიანეთის სოც-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, 1983, გვ. 108;
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 456;
3. იქვე, გვ. 552;
4. პაპუნა ორბელიანი, „ამბავი ქართლისანი“, გვ. 218;
5. პაპუნა ორბელიანი, „ამბავი ქართლისანი“, გვ. 218;
6. „1669წ. წილკნელის საწმყსოს დრამისა და საწირავის გაიგების სიგელი“, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები (XIII-XIXსს.), წიგნი II, 1974, გვ. 32;
7. იქვე, გვ. 36;
8. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორისს ძეგლები, გვ. 36;
9. ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 42;
10. ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 86-87.

ПОЛИТИЧЕСКИЕ И СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ФОРМЫ ОТНОШЕНИЙ В ГОРАХ И РАВНИНАХ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Г. ДЗИДЗИГУРИ
профессор ГТУ

В средние века, в отношениях с горным населением, царская власть ведущее значение придавала военно-политическому аспекту.

Из-за слабых экономических возможностей, основной обязанностью горного населения перед центральной властью являлась не натуральная рента, а военное налогообложение (обязанность).